თბილისელების
ადვოკატი

საოჯახო სამართალი

ქორწინება, განქორწინება, ალიმენტი, შვილად აყვანა, მშობლის უფლება-მოვალეობები, მამობის დადგენა

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
EURASIA PARTNERSHIP FOUNDATION
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
Sida

ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლებელია შეხედულებები არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

ავტორი ეკატერინე სოლოღაშვილი

პუბლიკაცია მომზადებულია 2011 წლის I ნოემბრის მდგომარეობით

ტირაჟი: 3000

სარჩევი

- მარეგულირებელი კანონმდებლობა 4
- ქორწინება 5
- ქორწინების შეწყვეტა, განქორწინება 8
- მშობლების უფლება-მოვალეობები, ალიმენტი 12
- შვილად აყვანა 16
- მამობის დადგენა 20

მარეგულირებელი კანონმდებლობა

1. 1997 წლის 26 ივნისი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი";
2. 1997 წლის 14 ნოემბერი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
3. 2009 წლის 18 დეკემბერი საქართველოს კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ";
4. 1998 წლის 15 ოქტომბრის კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ"

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, არეგულირებს სხვადასხვა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ შორის, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ: ქორწინებას, განქორწინებას, ალიმენტს, მამობის დაგენას, მშობლებისა და შვილების ერთმანეთის მიმართ უფლებამოვალეობებს. განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრებასა და ინდივიდუალურ საკუთრებებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესებს სხვადასხვა დავების დროს, მათ შორის ზემოთ მითითებულ საკითხებზე დავის დროს სასამართლოსთვის მიმართვის წესს, ვადებს და პროცედურებს.

შვილად აყვანის შესახებ კანონი კი

არეგულირებს, შვილად აყვანის პროცედურებს, კერძოდ ხელს უწყობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოების მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე ბავშვის შვილად აყვანის პროცედურების განხორციელებას.

ქორწინება

ქორწინება, არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ურთიერთობა ოჯახის შექმნის მიზნით, ქორწინებას სამართლებრივი შედეგები რომ მოყვეს, იგი უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში, დასაქორწინებელი პირების მიერ არჩეული ადგილისა და დროის მიხედვით (სამოქალაქო ქორწინება).

დაქორწინებისათვის საჭიროა, დასაქორწინებელი პირი იყოს საქორწინო ასაკის - 18 წლის და თანახმა იყოს ქორწინებაზე.

შესაძლებელია დაქორწინდეს 16 წლის პირი, თუ იქნება მისი მშობლების წერილობითი თანხმობა.

დასაქორწინებელი პირები ერთობლივი განცხადებით მიმართავენ სამოქალაქო რეესტრს დაქორწინების მოთხოვნით, განცხადებით უნდა დაადასტურონ რომ არ

ასებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, ცნობილია ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობის შესახებ, იციან თითოეულისათვის მერამდენეა ეს ქორწინება და ასევე, უნდა აღნიშნონ ჰყავთ თუ არა მათ შვილები.

ქორწინების რეგისტრაცია ვერ განხორციელდება, თუ არსებობს მისი დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ კი დაქორწინება არ დაიშვება:

1. იმ პირთა მიმართ, რომელთაგან ერთერთი უკვე იმყოფება ქორწინებაში;
2. პირდაპირ აღმავალ და დაღმავალ ნათესავებს შორის (მშობელი, პაპა-ბებია, შვილი, შვილიშვილი);
3. ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;
4. მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის;
5. იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთი მაინც სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.

განხილვის წესი, საფასური და ვადები:

დღეისათვის სამოქალაქო რეესტრს აქვს შემუშავებული განცხადების ფორ-

მები, რომლებსაც ადგილზე ავსებენ დასაქორწინებელი პირები. გარდა განცხადებისა, დაქორწინებისათვის აუცილებელი დოკუმენტებია:

1. დასაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
2. უცხოელი პირის შემთხვევაში პასპორტი და პასპორტში საქართველოში ლეგალურად შემოსვლის შტამბის ასლი;
3. წინა ქორწინების მოშლის დამადასტურებელი დოკუმენტი (მანამადე დაქორწინებული პირისთვის)

თუ მოქალაქეს ჰყავს გარდაცვლილი მეუღლე და სურს, ხელმეორედ დაქორწინება, აუცილებელია სამოქალაქო რეესტრს წარუდგინოს მეუღლის გარდაცვალების მოწმობა.

დაქორწინების დროს შეიძლება მეუღლეებმა მიიღონ ერთმანეთის გვარი, ან შეუერთონ თავიანთ გვარს მეუღლის გვარი. გვარის შეერთება არ შეიძლება, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს უკვე ორმაგი გვარი აქვს.

დასაქორწინებელ პირთა მოთხოვნით, ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება ჩატარდეს საზეიმო ვითარებაში, სპეციალური სარიტუალო მოსახურეობით ან

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ.
ქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემის განაკვეთებია:

1. სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში - 50 ლარი;
2. სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურის გარეთ - 170 ლარი;
3. სარიტუალო მომსახურების დროს, ქორწინების სახლებში შაბათ-კვირას 150 ლარი და ნებისმიერ სამუშაო დღეს 90 ლარი.

განსხვავებით სამოქალაქო ქორწინებისგან, ნიშნობა არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს და დაუქორწინებლობის შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული საჩუქრები მხარეებს უბრუნდებათ უკან.

გასაჩივრების წესი

სამოქალაქო რეესტრის უარი ქორწინების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს პირდაპირ სასამართლოში საერთო წესით.

ქორწინების შეწყვეტა, განქორწინება

ქორწინების შეწყვეტის საფუძველია:

1. განქორწინება;
2. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება;

3. სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება.

განქორწინება შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ ორგანოში და სასამართლო წესით.

განქორწინების განხილვის წესი, საფასური და ვადები

იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ან ერთ-ერთი მეუღლე წინააღმდეგია განქორწინებისა, მაშინ მივმართავთ სასამართლოს სარჩელით, განქორწინების მოთხოვნით. განქორწინების საქმესთან ერთად შესაძლებელია სასამართლო წესით მოითხოვოთ ასევე საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი სხვა დავის გადაწყვეტა.

სასამართლო წესით განქორწინების მოთხოვნისათვის, არ არის აუცილებელი რაიმე საფუძვლის არსებობა, თუ მეუღლეებს შორის შეუძლებელია შემდგომში ერთად ცხოვრება, ეს საკმარისია, რომ მოითხოვოთ განქორწინება. განქორწინების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის გადასახდელია სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარის ოდენობით. აღნიშნული ტიპის დავები განიხილება სასამართლოს მიერ დაჩქარებული წესით.

არ შეიძლება საქმის აღძვრა განქორწინებაზე ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

სამოქალაქო რეესტრში განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა და ორივე თანახმაა განქორწინებაზე, ასეთ შემთხვევაში განქორწინებისათვის საჭირო დოკუმენტებია:

1. მეუღლეების ერთობლივი განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. ქორწინების მოწმობა;
4. მომსახურების საფასურის გადახდის 45 ლარიანი ქვითარი;

სამოქალაქო რეესტრში განქორწინება შესაძლებელია, ასევე ერთერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე იმ პირთან, რომელიც:

1. სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზოუკვლოდ დაკარგულად;
2. სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ;
3. სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 3 წლის ვადით.

თუკი ზემოთმითითებული სამი გარემოე-

ბა არსებობს, სამოქალაქო რეესტრს უნდა წარუდგინოთ ერთ-ერთი ამ გარემოების დამადასტურებელი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები .

თუ განქორწინება მოხდა სასამართლო წესით, არ უნდა ჩათვალოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილება საკმარისია და მეუღლეებს შორის შეწყვეტილია სამოქალაქო ქორწინება. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სამოქალაქო რეესტრში განქორწინების რეგისტრაცის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, მოქალაქემ სამოქალაქო რეესტრში უნდა წარადგინოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 3 წლისა.

თუ სამოქალაქო რეესტრში, არ დაარეგისტრირებთ სასამართლო გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ და არ აიღებთ განქორწინების მოწმობას, 3 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ მეუღლეებს შორის ქორწინება ისევ ძალაშია.

სამოქალაქო რეესტრი, ქორწინებისა და განქორწინების მოწმობას გასცემს 15 კალენდარულ დღეში განცხადებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენის დღიდან.

მშობლის უფლება-მოვალეობები, ალიმენტი

შვილების მიმართ, მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები, მაშინაც კი როდესაც მეუღლეები განქორწინებულები არიან. მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არსრულწლოვანი და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები.

განქორწინებული მშობლები თვითონ თანხმდებიან, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მათმა შვილებმა, რომელი მშობელი გადაიხდის ალიმენტს შვილის სასარგებლოდ და რა ოდენობით. თუკი მეუღლეები ამაზე ვერ შეთანხმდებიან, დავას გადაწყვეტს სასამართლო.

თუ არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან და მამა ნებაყოფლობით არ ასრულებს თავის მოვალეობას შვილის მიმართ, არ იღებს მის რჩენა-აღზრდაში მონაწილეობას. არასრულწლოვანი შვილის დედას, შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სასამართლო წესით მოითხოვოს ალიმენტის გადახდა მამისგან შვილის სასარგებლოდ.

როდესაც გადაწყვეტთ, რომ უნდა მიმართოთ სასამართლოს ალიმენტის მოთხოვნით, უნდა გაითვალისწინოთ, რომ მტ-

კიცების ტვირთი არის თქვენზე, კერძოდ ასეთი მოთხოვნის დროს სარჩელს უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მოპასუხე მხარის მატერიალურ შემოსავალს.

მაგალითად: თუ პირი მუშაობს, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში და იღებს ხელფასს, სარჩელის შეტანამდე განცხადებით მიმართეთ ამ ორგანოს და მოითხოვეთ წერილობითი ინფორმაცია მისი ყოველთვიური შემოსავლის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია ვერ მიიღეთ, ან, უარი მიიღეთ ინფორმაციის გაცემაზე, სარჩელს დაურთავთ თქვენს განცხადებას (ან უარს). ამით სასამართლოს დაანახებთ, რომ შეეცადეთ მოგეპოვებინათ მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის და სარჩელის შესაბამის გრაფაში იშუამდგომლებთ, რომ სასამართლომ თავად გამოითხოვოს ინფორმაცია მოპასუხის (მეუღლის) შემოსავლის შესახებ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მოპასუხე მხარეს აქვს არაოფიციალური შემოსავალი, მაგალითად მუშაობს მუშად, ტვირთის გადამზიდველად, მძღოლად და ა.შ. ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოიყენოთ მოწმეები, ასევე მტკიცებულებები,

რომელიც დაადასტურებს, რომ ამ პირმა შეიძინა რაიმე ნივთი (უძრავი ან/და მოძრავი), რაც თავისთავად მის შემოსავალზე მეტყველებს.

მოპასუხისგან სასამართლო წესით, შეიძლება მოითხოვოთ წარსული და მომავალი დროის ალიმენტი ასევე, ერთჯერადად გადასახდელ დამატებითი ხარჯებში მონაწილეობის მიღება.

1. წარსული დროის ალიმენტია - სარჩელის აღძვრამდე წინა სამი წლის გადასახდელი ალიმენტი, ასეთ დროს აუცილებელია სასამართლოს წარუდგინოთ ამ წლების განმავლობაში მოპასუხის მატერიალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი და მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ცდილობდით არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ მიგეღოთ ალიმენტი;

2. მომავალი დროის ალიმენტია - როდესაც ითხოვთ სარჩელის შეტანის შემდეგ გადასახდელ ალიმენტს ბავშვის სრულწლოვანებამდე;

3. მოპასუხის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღება – შეიძლება მაშინაც, თუ პირი არასრულწლოვანს უკვე უხდის ალიმენტს. ერთჯერადი თანხის გადახდის მოთხოვნა ბავშვის მძიმე ავად-

მყოფობის, დასახიჩრების შემთხვევაშია შესაძლებელი.

სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის საჭირო თანხებს და მშობლების მატერიალურ მდგომარეობას. თუ მოპასუხე ნამდვილად არ მუშაობს და არ აქვს მატერიალური შემოსავალი, კანონი მას არ ათავისუფლებს ალიმენტის გადახდისაგან.

ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვან შვილთან მცხოვრები მშობელი ხელს უშლის მეორე მშობელს შვილთან ურთიერთობაში. ასეთ დროს მშობელს შეუძლია ამ საკითხის დასარეგულირებლად მიმართოს სასამართლოს და სასამართლო წესით მოითხოვოს შვილთან ურთიერთობის დარეგულირება – განსაზღვროს ნახვის დღეები და საათები, თავისთან წაყვანის დრო და ა. შ.

შვილად აყვანა

შვილება დაიშვება იმ შემთხვევაში თუ ცხადია, რომ მშვილებელსა და გასაშვილებელს შორის იქნება ისეთივე ურთიერთობა, როგორც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის.

შვილად აყვანის პროცედურები მომსახურების სააგენტოში

მშვილებლის რეგისტრაცია

მშვილებელი შეიძლება იყოს სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა რომელსაც ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს მშობლის უფლება ან, რომელსაც ავადმყოფობის გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები;

მშვილებლები შეიძლება იყვნენ მეუღლეები, ერთ-ერთმა მეუღლემ შეიძლება იშვილოს მეორე მეუღლის შვილი. თუ ბავშვს იყვანს ერთ-ერთი მეუღლე, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ მეორე მეუღლე აღიარებულია სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უცნობია მისი ადგილსამყოფელი ან თუ მეუღლეებს შორის შეწყვეტილია ფაქტობრივად ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

მშვილებელი გასაშვილებელ ბავშვზე უფროსი უნდა უნდა იყოს 16 წლით მაინც, ეს ასაკი გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შემცირდეს.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, თუ გადაწყვეტთ, რომ უნდა აიყვანოთ შვილი, აუცილებელია მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დარეგისტრირდეთ, როგორც მშვილებელი. ამისათვის უნდა შეავსოთ სპეციალური განაცხადის ფორმა ადგილზე, განცხადებას დაურთავთ პირადობის მოწმობის ასლს.

სოციალური მომსახურების სააგენტო, რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შემოგთავაზებთ გასაშვილებელ ბავშვს. თქვენ გაქვთ უფლება მოინახულოთ გასაშვილებელი ბავშვი მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, სააგენტოს წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ჩაუტაროთ მას სამედიცინო გამოკვლევა.

სააგენტოს მიერ შემოთავაზებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მშვილებელი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აყვანის (ან უარის) შესახებ, ასე-

თი გადაწყვეტილება წერილობით უნდა წარედგინოს მომსახურების სააგენტოს, მითითებულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა ითვლება მშვილებლის მიერ ბავშვის შვილებაზე უარად.

გასაშვილებელი ბავშვის რეგისტრაცია:

შვილად აყვანას ექვემდებარება არასრულწლოვანი ბავშვი, რომელსაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით აქვს გასაშვილებელი პირის სტატუსი და რეგისტრირებულია რეესტრში.

გასაშვილებელია ბავშვი:

1. რომელთა მშობელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
2. რომელიც არის ობოლი;
3. რომელიც აღიარებულია მიტოვებულ ბავშვად;
4. რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება;
5. რომლის კანონიერმა წარმომადგენელმა მაგალითად მშობელმა განაცხადა თანხმობა გაშვილებაზე.

სასამართლოსთვის მიმართვა და მისი რეგისტრაცია

შვილად აყვანის შესახებ გადაწ-ყვეტილებას მეურვეობისა და მზრუნ-ველობის ორგანოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად იღებს სასამართლო, სასამართლოს განცხადებით მიმართავს მშვილებელი თავისი ან გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედ-ვით.

შვილება ნამდვილია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეს-ვლის დღიდან, გადაწყვეტილების რეგის-ტრაციას ახორციელებს სამოქალაქო რე-ესტრის სააგენტოს ნებისმიერი ტერიტო-რიული სამსახური განმცხადებლის სურ-ვილისამებრ. სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში აცნობოს გადაწყვეტილება სააგენტოს.

მშვილებელი ნაშვილების დაბადების მოწმობაში, მისივე თხოვნით, შეიძლება მიეთითოს მშობლად, ასევე შესაძლოა მიე-კუთვნოს მშვილებლის გვარი, შეეცვალოს სახელი, აღნიშნული აუცილებლად უნდა მიეთითოს სასამართლოს გადაწყვეტილე-ბაში. მშვილებლის თხოვნით, შვილად აყვანის კონფიდენციალობის უზრუნვ-ელსაყოფად ნაშვილებს ასევე შეიძლება

შეეცვალოს დაბადების ადგილი, თვე და რიცხვი.

10 წელზე მეტი ხნის ბავშვის შვილების შემთხვევაში აუცილებელია გასაშვილებელი ბავშვის თანხმობა შვილებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

შვილებას მოყვება იგივე სამართლებრივი შედეგები, რაც არსებობს ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის. ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ ურთიერთობას თავის ღვიძლ მშობლებთან მიმართებაში.

მამობის დადგენა

მამობა დგინდება პირის დაბადების ჩაწერის წიგნში (დაბადების მოწმობაში) მამის გრაფაში მითითებული მამის სახელითა და გვარით.

თუ დაქორწინებულ პირებს ქორწინების განმავლობაში შეეძინათ შვილი, მის დაბადების მოწმობაში მშობლებად მიეთითებიან თავადვე, მაგრამ თუ მეუღლეები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და შეეძინათ შვილი, დაბადების მოწმობაში, მამის სახელისა და გვარის რეგისტრაციისთვის აუცილებელია მამობის დადგენა. მამობის დადგენა შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის საგენტოსათვის მიმართვის გზით და სასამართლო წესით.

სააგენტოში მამობის დადგენა ხორციელდება:

1. მშობელთაურთიერთშეთანხმებით, ერთობლივი განცხადების საფუძველზე;
2. მამის განცხადების საფუძველზე, როდესაც დედა გარადაცვლილია, დაუდგენელია მისი ადგილსამყოფელი, სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია უგზოუკვლოდ დაკარგულად, ქმედუუნაროდ ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება;
3. დედის განცხადების საფუძველზე, მამის სურვილის საწინააღმდეგოდ – ასეთ შემთხვევაში სააგენტოს აუცილებელად უნდა წარედგინოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ;
4. დედის განცხადების საფუძველზე, როდესაც მამა გარდაცვლილია – ასეთ შემთხვევაშიც აუცილებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ.

სასამართლო წესით, მამობის დადგენა ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება. განცხადებით შეიძლება მიმართოს სასამართლოს ერთ-ერთმა მშობელმა, ბავშვის მეურვემ (მზრუნველმა) ან იმ პირის განცხადების

საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმ-ყოფება ბავშვი. ასევე შეიძლება მიმართოს თვით ბავშვმა სრულწლოვანების მიღწ-ევისთანავე.

როდესაც მამობა სადავოა და მიმარ-თავთ სასამართლოს განცხადებით მა-მობის დადგენის მოთხოვნით, საჭიროა შესაბამისი მტკიცებულების წარდგენა ბი-ოლოგიური ექსპერტიზის (დნმ) დასკვნა.

ამ ბროშურაში მოცემულია საოჯახო ურთიერთობების შესახებ ის აუცილებელი ინფორმაცია, რომლის ფლობა დაგეხმარე-ბათ, სწორად და ნაკლები დანახარჯებით განახორციელოთ თქვენი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

მისამართები

1. ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. 18;

2. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. 29;

3. ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. 5;

4. ქ. თბილისი, ვაზისუბნის მე-3 მ/რ-ნი, მე-2 კვ, მე-16 კორპუსი;

5. ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. 23;

6. ქ. თბილისი, მირცხულავას ქ. 3ა;

7. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. 7;

8. ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. 72;

9. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, კვ. 10, კ.27;

10. ქ. თბილისი, ავჭალა, ლიბანის ქ. 1;

11. ქ. თბილისი, გლდანის 4 მ/რ, ყოფილი კომისარიატის შენობა;

12. ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, მე-9 კორპუსის მიმდებარედ;

13. ქ. თბილისი, მუხიანის მე-4 "ა" მ/რ, კორპუსი 9;

14. ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 41;

15. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 12;

16. ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-5 მკ. 1კ;

17. ქ. თბილისი, ორთაჭალის ქ. 4;

18. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. 61;

19. ქ. თბილისი დ.წყნეთი, სტალინის ქ. 70;

20. ქ. თბილისი, ტაბახმელა პოლიციის შენობა;

21. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 10ა ვაკე-საბურ-თალოს გამგეობის შენობა;

22. ქ. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. 153ა;

23. ქ. თბილისი, ვარკეთლი მე-3 მ/რ; 30 კორპ;

24. ქ. თბილისი, კალაუბნის ქ. 16;

25. ქ. თბილისი, ორხევი, მუხაძის ქ. 6;

26. ქ. თბილისი, ფრანგულიანის ქ. 13;

27. ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი, კორპ. 10;

28. ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. 10;

29. ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. 18;

30. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 72;

31. ქ. თბილისი, პაიჭაძის ქ. 1;

32. ქ. თბილისი, დადიანის ქ. 34, მე-2კ;

33. ქ. თბილისი, დადიანის ქ. 150;

34. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ქ. 140ა დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის შენობა.